

# ღია სტუდენტური კონკურსი დაბა მესტიაში ორი ჰიდროელექტროსადგურის

## არქიტექტურული პროექტის შერჩევისათვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია:

სს „სვანეთი ჰიდრო“ (შემდგომში „ორგანოზატორი“) არის სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიისა“ და ავსტრიული კომპანია RP Global-ის ერთობლივი საწარმო. RP Global არის ავსტრიული კომპანია, რომელიც ავითარებს ჰიდროელექტროსადგურების პროექტებს უკვე 40 წელიწადია. ავსტრიაში ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოებას 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ამდენად ამ სფეროში ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია.

სს „სვანეთი ჰიდრო“-ს განზრახული აქვს დაბა მესტიის ჩრდილოეთით მდინარე მესტიაჭალაზე ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

დაბა მესტიისა და მთლიანად სვანეთის ბუნებისა და არქიტექტურის უნიკალურობის გათვალისწინებით, სს „სვანეთი ჰიდრო“-მ გადაწყვიტა ღია სტუდენტური კონკურსის გამოცხადება ჰიდროელექტროსადგურების არქიტექტურული პროექტის შერჩევისათვის.

პროექტის ზოგადი დიზაინი (basic design) დასრულებულია და ამჟამად მიმდინარეობს ლიცენზირების პროცესი. კონკურსის შედეგები გათვალისწინებული იქნება პროექტის დეტალურ დიზაინში.

კონკურსი ჩატარდება შემდეგ სამ უნივერსიტეტში:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი  
საკონტაქტო პირი: ნინო იმნაძე - [imnadzenino@gmail.com](mailto:imnadzenino@gmail.com)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, არქიტექტურის პროგრამა  
საკონტაქტო პირი: ია კუპატაძე - [ia.kupatadze@iliauni.edu.ge](mailto:ia.kupatadze@iliauni.edu.ge)
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი  
საკონტაქტო პირი: სოფიო გაბადაძე - [sophio.gabadadze@art.edu.ge](mailto:sophio.gabadadze@art.edu.ge)

### 2. ინფორმაცია დაბა მესტიასა და მდინარე მესტიაჭალაზე:

მესტია არის საქართველოს მზარდი ტურისტული რეგიონი, რომელიც მრავალფეროვანია როგორც ბუნების ძეგლების, ასევე არქიტექტურული თვალსაზრისით. აქ ვხვდებით როგორც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს - სვანურ კოშკებს, აგრეთვე თანამედროვე არქიტექტურის ისეთ ნიმუშებს, როგორცაა მაგალითად მესტიის აეროპორტის შენობა.

ამ კონკურსით გათვალისწინებული ობიექტები მდებარეობს დაბა მესტიის ჩრდილოეთით, მდინარე მესტიაჭალას გასწვრივ, ზღვის დონიდან 1400 და 1800 მეტრებს შორის ნიშნულზე.

### **3. მონაწილეობის პირობები:**

ღია სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების არქიტექტურული ფაკულტეტების ცალკეულ სტუდენტებს ან სტუდენტურ ჯგუფებს (არაუმეტეს 3 სტუდენტისა თითოეულ ჯგუფში).

### **4. კონკურსის ძირითადი მოთხოვნები:**

მოთხოვნილია შემდეგი ობიექტების არქიტექტურული პროექტი:

- მესტიაჭალა 1 და მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგურების შენობები;
- მესტიაჭალა 1 და მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგურების სათავე ნაგებობების და რეზერვუარის ელექტრო დანადგარებისა და ჰიდრავლიკური მოწყობილობების დამცავი ნაგებობები;
- გაბიონი მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ (ზემოთ) მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგურის შენობის გაყოლებაზე (ხიდსა და ჰიდროელექტროსადგურის შენობას შორის);
- ღობე თითოეული ობიექტის ირგვლივ არასანქცირებული შესვლის აღსაკვეთად.

### **პროექტის კრიტერიუმები:**

- გარემოსთან ინტეგრირებული, მიმზიდველი დიზაინი
- არქიტექტურულ დიზაინში განახლებადი ენერჯის ასახვა
- ტექნიკური კრიტერიუმები (თერმული იზოლაცია, ხმაურისგან დაცვა)
- ხარჯების ეფექტურობა და კონსტრუქციის სიმარტივე

კონკურსის ორგანიზატორების მიერ მონაწილე სტუდენტებისათვის რეკომენდებულია საპროექტო ადგილის მონახულება, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს კონკურსში მონაწილეობის წინაპირობას.

### **კონკურსის სტრუქტურა:**

#### **მნიშვნელოვანი თარიღები:**

- კონკურსის გამოცხადება: 1 მარტი, 2016
- საინფორმაციო შეხვედრა: 14 მარტი, 2016 - 15:00
- რეგისტრაცია: 20 მარტამდე - შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [kobakhidzes@grpc.ge](mailto:kobakhidzes@grpc.ge)
- საბოლოო პროექტის წარდგენა: 16 მაისი, 2016
- გამარჯვებულების გამოვლენა: 30 მაისი, 2016

#### **საინფორმაციო შეხვედრის პროგრამა:**

- შესავალი: კონკურსის მიზანი (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“)
- პრეზენტაცია: ნაგებობების ტექნოლოგიური ასპექტები (RP Global)
- პრეზენტაცია: პროექტის არქიტექტურული ნაწილი (არქიტექტორი)

- საორგანიზაციო საკითხები (სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“)
- კითხვა-პასუხი

შეხვედრის ხანგრძლივობა - 1,5-2 საათი.

**კონკურსის ჟიური:**

- პროფესორი 1
- პროფესორი 2
- პროფესორი 3
- არქიტექტორი
- სს „სვანეთი ჰიდროს“ წარმომადგენელი

RP Global შეაფასებს ტექნიკურ ასპექტებს ჟიურის შეხვედრამდე.

**კონკურსის საპრიზო ფონდი:**

I ადგილი:	2400 ლარი
II ადგილი:	1600 ლარი
III ადგილი:	1000 ლარი

ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გადასცეს დამატებითი პრიზი კონკურსის იმ მონაწილეებს, რომლებმაც ვერ მიიღეს ზემოხსენებული პრიზები, თუმცა წარმოადგინეს გამორჩეული ნაშრომები. ორგანიზატორი აგრეთვე უფლებამოსილია, კონკურსის დასრულების შემდგომ, გამარჯვებული პროექტის (1-ელი ადგილი) ავტორ(ებ)ს შესთავაზოს მონაწილეობის მიღება სრული არქიტექტურული პროექტის (მუშა პროექტის) შემუშავებაში.

**5. საკონკურსო დავალების შესრულებისა და წარდგენის წესები:**

კონკურსის მონაწილეები სამუშაო მასალას მიიღებენ ელექტრონულ ფორმატში მათი უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე მიმართვის გზით - [kobakhidzes@grpc.ge](mailto:kobakhidzes@grpc.ge)

საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი პროექტი ჟიურის მიერ არ განიხილება.

სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმატს:

- გრაფიკული გამოსახულებები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს A1 ფორმატში (მაქსიმუმ 3 ნახაზი)
- განმარტებითი ბარათი (დამატებითი ანგარიში არ მოითხოვება)
- ელექტრონული ვერსია – ნახაზები კომპაქტ დისკზე (CD) PDF ფორმატში
- ყველაფერი უნდა იყოს მოთავსებული ერთ პაკეტში, რომელზეც აღნიშნული იქნება კონკურსანტის სახელი, მისამართი, ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს განთავსებული მხოლოდ პაკეტზე და არავითარ შემთხვევაში თავად ნახაზებზე.
- სასურველია თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შესრულებული იქნება ინგლისურ ენაზე, თუმცა მიიღება ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომებიც.

## **6. კონკურსის პირობები:**

სტუდენტების ან სტუდენტთა ჯგუფების მიერ წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

- განმარტებითი ბარათი
- შემოთავაზებული საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, ლანდშაფტისა და გამწვანების ზონის ჩათვლით
- შენობების სართულებისა და სახურავის გეგმები - მასშტაბი 1:200
- ფასადები - მასშტაბი 1:200
- ჭრილები - მასშტაბი 1:200
- შენობის კონსტრუქციული სქემა (სამშენებლო მასალების ჩვენებით) - მასშტაბი 1: 100
- ფასადის ფრაგმენტები და ჭრილები, გამოყენებული მასალებისა და სამშენებლო ელემენტების მითითებით, თბოიზოლაციის ჩათვლით – მასშტაბი 1:20 ან 1:50
- ჩანახატები;
- პროექტის 3D ვიზუალიზაცია: სტუდენტებს არ მოეთხოვებათ იდეალური 3D რენდერის მომზადება

კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრების ავტორები შესაბამისი ფულადი პრიზების სანაცვლოდ უპირობოდ გადასცემენ ორგანიზატორს თავიანთ ნამუშევრებს;

ორგანიზატორს ენიჭება სრული და შეუზღუდავი უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ნაშრომები, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნაშრომების გადაკეთებით, მათი სამშენებლოდ გამოყენებით და/ან განკარგვით.

## **7. მონაწილეთათვის გადასაცემი დოკუმენტაცია:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტს და/ან სტუდენტურ ჯგუფს ელექტრონულ ფორმატში გადაეცემა შემდეგი სამუშაო მასალა:

### **ნახაზები**

ნახაზები, რომლებზეც ასახული იქნება გაბარიტული ზომები ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

### **ფოტოები**

ადგილმდებარეობის ამსახველი ფოტომასალა (სათავე ნაგებობებისა და ჰიდროელექტროსადგურების განთავსების ადგილები, მდინარის კალაპოტი).